



ქართული სოფრები

სათაასრო სალიტარ-ქურალი

№ 19 - 1917	ფასი	ფილიწადი	მეწათე
ქირა მაინი 7	15 კ.	გაზრცემისა	

ე ი გ ი ლ ი

1.

ჰაუ!—სადა ხარ, სად ბანაკობ,
ჩემო ლაშქარო,
ველად გაქრილი უგნ გიყივის
უგნი მხედარი!
რად არ იღვიებ, ერო ჩემო,
ერო მძინარო,
რით ვერ გაფხიზლებს მტერთა უგნთა
რისხვა და ზარი!

2.

წარმიძებ წინა ატეილო
გრიგალო, ქარო!
თან წაიტაცე სული ჩემი
დაუდეგარი!
დაიქიზინე არაბულო,
სწორუპოვარო!
ჰერი! გაჰკურცხელი!
გადაჰქუსლე უდაზნო მკვდარი!



ლ. ლ. დარგაჩაშვილი

გარდაცვალებიდან წლის თავის შესრულების გამო.

რედ. „ხალხის თავისუფლება“ და „თეატრი და ცხოვრება“ ამით აცნობებენ ამხანაგთა და თანამგრძობელთ, რომ დაუვიწყარ ამხანაგის, ნიკიერი პუბლიცისტის

ლადო დარჩიაშვილის

გარდაცვალების წლისთავის შესრულების გამო დღეს, კვირას, მაისის 7 ქვაშვითის წმ. გიორგის ეკლესიაში გაუხადილ იქნება წირვა (დაიწყება 10 ს.) და პანაშვიდი (დაიწყება 12 ს.)

კვირას 7 მაისს ქვაშვითის წმ. გიორგის ეკლესიაში გარდახდილ იქნება წლის წირვა და პანაშვიდი გარდაცვალებულის

ლადო დარჩიაშვილის

მოსახსენებლათ, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ დამწუხარებულნი მისი დედა, ცოლი, ძმები, რძლები ძმისა და დისწულები.

პანაშვიდი დაიწყება 12 საათზე.

მაისის 7

ქართველი მსახიობი

ძლივს ქართველმა მსახიობმა ნაბიჯი გადადგა.

მაისის პირველ რიცხვებში შესდგა სრულიად საქართველოს მსახიობთა ყრილობა, რომელმაც ს განგებო წესდება შეიმუშავა და კავშირი შექმნა.

დღემდის სხვის ხელშემაყურებელი, ზოგჯერ თუ ხელისხელ საგომანები, ხშირად ფებქვეშ გაქედილი და ნამდილი პროლეტარი ჩვენი სამშობლო სცენის ქურუმი საკუთარ ფეხზე დადგა.

მაგრამ ახლად შემდგარი კავშირიც თუ მხოლოდ, ჩვენებურად-ძველებურად, წესდებ-ს შედგენით დაკმაყოფილდა—გერაფერი სამსახური იქნება.

ქართველ მსახიობს ძლიერ დიდი პასუხსაგები მოვლენობა აწევს სამშობლოს წინაშე.

ვიღრე ჩვენი სამშობლო ჯერ კიდევ უცხოთა გავლენას განიცდის, ჩვენი ესთეტიურ-მროვნული აღზრდა, ჩვენი ენის დაცვა-გაფა-

ქიზება, გრძობათა გაკეთილშობილება, ჩვენი ნამდილ მოქალაქეებად აღზრდა—ქართული სცენის ხელთაა...

აქედან იგულისხმება თვით ქართველი მსახიობი რამდენად მომზადებული უნდა იყოს, აღზრდილი, განვითარებული, მუდამ თხიზელი და წინ წინ მსვლელი, რომ საზოგადოებას ლამაზად ექმნეს...

ეს საზოგადოდ. კერძოდ ჩვენი პრაქტიკა—დაბა-სოფელი სათეატრო ხელოვნების მხრით რომ ჩამორჩენილია და იქ მუდამ იაფფასის „თრეატი“ ბატონობს,—ამასაც ყურადღება უნდა მიექცეს...

ქართველი მსახიობის თვითმოქმედებას დღეიდან ეხსნება გზა და ახლო მომავალი დავგანახვებს—ჩვენი მსახიობი ცხოვრებას ჩამორჩება თუ, წინ თუ არა—გვერდზე მიანც გაჰყვება!..

გაუმარჯოს ქართველ მსახიობთა თვით-მოქმედებასა და საკუთარი ფეხს გამოჩენას!..

იოსებ იმედაშვილი



ომი და ზავი!

ვინ დაიწყო ომი?

ორნაირი პასუხი ამ კითხვავზე შეუძლებელია. მთავრობამ და იმპერიალისტებმა დაიწყეს ომი და მთელს ევროპას სისხლის ნიაღვრები დაატებეს თავს.

თვითონ ხალხი, დემოკრატია წინააღმდეგი იყო და არის სისხლის ღვრისა. სადაო საერთაშორისო კითხვების გადაწყვეტა სისხლის ღვრითა და თოფ-ზარბაზნებით დემოკრატის არა სწამს, მაგრამ ის იძულებული იყო და მორჩილებოდა ვიზიუკურ ძალას. რადგანაც ძალი მთავრობისა და იმპერიალისტების ხელში იყო და არის ყველგან ევროპაში, ამიტომ ხალხი, დემოკრატია ძალაუვნებურათ ჩაება ომში და აგერ საში წელიწადი შესრულდება, რაც უღანაშულოთა სისხლით ევროპა ირწყვება

ვისთვის არის ეს ომი ხელსაყერი? ევროპის მსხვილი ბურჟუაზიისათვის. საფრანგეთისა და ინგლისის ბურჟუაზიის უნდა გერმანიის ბურჟუაზიის გასრესა, გერმანიის ბურჟუაზიის უნდა საფრანგეთის და ინგლისის ბურჟუაზიის მიწასთან გასწორება და ახალი ბაზრების მოპოება:

რუსეთის ბურჟუაზიის უნდა კონსტანტინეპოლისა და მისი სრუტეების დაპყრობით ბაზრის გაფართოება და გაძრეობა. თვითონ ომის დროს, სისხლის ღვრის პროცესში მემარცხენელწოდების ბურჟუაზია ძალზე მდიდრდება. ამიტომ მის სრულებითაც არ უნდა ომის გათავება.

თუ ხალხი მოამინებით აიტანს ყოველისფერს, თუნდა ათ წელსაც გაგრძელდეს ომი, — ბურჟუაზია რას წააგებს!

თუ მისი საქონელი კარგა ვერ გავა, სხვა სახელმწიფოში, სამაგიეროდ შინ საღდება ერთი ათათ.

პირველის წარმოდგენით და შეხედვით ომის დროს თითქოს მარტო ბურჟუაზია კი არა მდიდრდება, თვითონ დემოკრატიაც ქონებრივად უკეთეს მდგომარეობას იძენს.

აი ჩვეულებრივი მაგალითები.

გლეხი რომ წინეთ სამ აბაზათ ჰყიდა ქათამს ახლა ჰყიდის ორ მანათად და ათ შუ-

რათ. კვერცხსა ჰყიდა ორ კაპეკით, ახლა ჰყიდის რვად.

ერთის სიტყვით გლეხის ნაწარმოებმა ფისი მოიმატა.

იგივე ითქმის ქალაქის მუშაზე. თუ ის თავის სამუშაო ძალ ღონეს დღეში ჰყიდა მაგალითად ორ მანათათ, ახლა ჰყიდის სამ და ოთხ მანათათ.

საქმე იმაშია, რომ თუ გლეხი თავის საქონელში და მუშა თავის შრომაში დღეს მეტს იღებენ, ვიდრე მშვიდობიანობის დროს, ამავე დროს გაცილებით მეტს ხარჯავენ დღეს თავის ყოველდღიური აუცილებელი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად; ვიდრე მშვიდობიანობის დროს ხარჯავდნენ.

წინეთ გლეხი ჩუსტებში აძლევდა ბჭეს აბაზს. ისე რომ ორ ქათამში აძებული ფულით ჩუსტებსაც იყიდდა, სხვა რამესაც.

დღეს კი მარტო ჩუსტები უჯდება რვა ცხრა მანათი და ოთხი ქათამი უნდა გაჰყიდოს, რომ ჩუსტების ყიდვად მოახერხოს, ახლა აიღეთ პირკალი, ჩითი, ნავთი, პური, სიმინდი ყოველივე, რაც გლეხისათვის აუცილებელ საქიროებას შეადგენს.

იგივე ითქმის ქალაქის მუშაზეცაც.

იმის ხელფასს ერთი ორათ არ უმატნია. იმ საქონელში კი, რომელიც იმის ყოველდღიურ საქიროებას შეადგენს, ერთი ხუთათ. და მეტათ იმატა.

ასე რომ რამდენიც უნდა აიღოს გლეხმა და მუშამ თავის საქონელში, ვაჭარი გაცილებით მეტს იღებს.

ამიტომ ბოლოს და ბოლოს მოგებული ისევე ბურჟუაზია რჩება.

ამიტომ ყვირის ეს ყველგან: ყოველივე ომს უნდა შეეწიროთ, ყთველივე ომს უნდა ვინაცვალოთ.

რატომაც არა!

დემოკრატია სისხლსა ღვრის, სიცოცხლეს ესალმება, ლატაკდება, მშვიერი და შიშველი რჩება; ბურჟუაზია კი დღით-დღე მდიდრდება და მდიდრდება!

მაშ გაუმარჯოს სამშობლოს, ყოველივე ომისათვის!

როცა შენი არა იხარჯებარა ქვიფს რა ჯობია,



დგი, დემოკრატიაში სისხლი ჰღვაროს ბურჟუაზიას რა ენადღებდა, თუ კი იმის ქონების დაკლების ნაცვლათ საკმაოთ მოემატება?

რუსეთის რევოლუციამ გარემოება ძირიანათ შესცვალა.

ძალაუფლება დემოკრატიის ხელში გადავიდა და მან მაშინათვე გამოაცხადა: კიარა სისხლის ღვრა, შევირგდეთ და ხარკსა და სხვის მიწაწყლის მითვისებაზე ხელი ავიღოთა:

რუსეთის ბურჟუაზიამ სცადა წინააღმდეგობა. ეს გამოიხატა მილიუკოვის კონტროლში, სადაც დროებითი მთავრობა კონტროლუციის (ხარკის) და ანექსიის (სხვისი ადგილების დაპყრობის) მომხრეთ გამოდის.

ამგვართ რუსეთის დემოკრატია გერმანიის, ავსტრიის, საფრანგეთისა და ინგლისის დემოკრატის ურჩევს: რა გვაქვს საჩხუბარი, შევირიდეთო.

რუსეთის ბურჟუაზია კი საფრანგეთისა და ინგლისის ბურჟუაზიას იტყობინებს: უანექსიოთ და უკონტროლუციოთ არც თქვენ გინდათ ზავი არც ჩვენ გვინდაო.

ვისთვის არის კონტროლუცია და ანექსია საკირო?

დემოკრატიისათვის?

არა.

კონტროლუცია ხალხის გაყვლეფაა.

სხვისი გაყვლეფა და სხვისი ადგილების დასაკუთრება დემოკრატიის სატრფიალო არასოდეს არა ჰყოფილა და არც იქნება.

კონტროლუცია უნდა ბურჟუაზიულ მთავრობას, ანექსია ბურჟუაზიას.

ომი ითხოვს დიდ ხარჯებს. ხარჯების შესამციკრებლათ, ვასისტუმრებლათ მთავრობა ეტრფის კონტროლუციას.

ბურჟუაზიის უნდა ახალი ბაზარი და ამიტომ იცავს ის ანექსიას.

მეტყვიან, ომი იწვევს საშინელ დავალიანებას, ეს ვლი მთელ ხალხს აწვება კისერზე. ამტომ კონტროლუციას ხალხის ინტერესი ითხოვსო.

შემტლარი შეხედულეფაა.

ომი იწვევს, მათალია, დავალიანებას; ვალს გასტუმრება უნდა.

ამისათვის საკიროა ზედ-მეტე ფული.

ზედმეტე ფულიისათვის—კი საკიროა კონტროლუცია კი არა, არამედ ზედმეტე გადასახადი ვინ უნდა იკისროს ან ვის უნდა, დაეკისროს ეს ზედმეტე გადასახადი!

დემოკრატიის?

არა.

დემოკრატიის არაფერი აქვს—ეს პირველი. დემოკრატიას ომი არ დაუწყვიცა—ეს მეორე.

დემოკრატია თუ წაავო, თორემ ომით არა შეუფენიარა—ეს მესამე.

ზედმეტე გადასახადი უნდა დავალოს ბურჟუაზიას.

პირველი იმიტომ რომ იმან დაიწყო ომი, ან ხელი შეუწყო მას.

მეორე იმიტომ რომ ის შეძლებული კლსია და სხვისი ოფლით გამიღირებული.

მესამე იმიტომ რომ ამ ომით ბურჟუაზიამ დიდძალი სიმდიდრე შეიძინა.

ბურჟუაზიულ მთავრობას არ უნდა, ბურჟუაზიის ჯიბეს ხელი შევახოს და ის ითხოვს კონტროლუციას ესე იგი დამარცხებული ერის გაცარცვას.

მილიუკოვის ნოტა მარტო რუსეთის ბურჟუაზიის ინტერესისთვის არ იყო გამოწვეული, ის ნაკარნახევი იყო საფრანგეთის და ინგლისის იმპერიალისტების მთავრობისაგან.

ევეს გარეშეა, საფრანგეთისა და ინგლისის იმპერიალისტები რუსეთის დემოკრატიას აშინებენ: თუ უანექსიო და უკონტროლუციო ზავს თავი არ დაანებე, ყოველ გვარ კავშირს შეგწყუტავე თქვენთან და იაპონეთს მოვიხვეთო.

საქმე ახლა იმაშია, რას იტყვის და რა გზას დაადგება საფრანგეთის, ინგლისისა და გერმანიის დემოკრატია.

თუ ისინი რუსეთის დემოკრატიას მიემხრენ და საკუთარი მთავრობა აიძულეს: უანექსიო და უკონტროლუციო ზავი მიიღოს, ომი მალე ვთავადება და სისხლის ღვრას ბოლო მოეღება.

თუ მბრძოლი სახელმწიფოების დემოკრატია რუსეთის დემოკრატიის მხარი არ დაუჭირა და საკუთარი მთავრობის წინააღმდეგ არ ამხედრდა მედგრათ, მაშინ რუსეთის

დემოკრატის წინ ორი გზა არის: ან ომის გავრძელება ვინ იცის როდემდის, ან სეპარატული ზავი.

რუსეთის დროებითა მთავრობამ რომ ომის გავრძელება ღირსეულათ შესძლოს, ამისთვის საჭიროა, რომ რუსის ზილხი და ჯარი მას გაჰყვეს.

რუსის ხალხი და ჯარი კი გაჰყვება მტკიცეთ და უშიშრათ, თავ-გამეტებით მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დროებითი მთავრობა ახლავდნადსკის მიწის საკითხს ხალხის სასარგებლოთ.

დროებითი მთავრობის სურვილებსა და ძალღონეს ეს აღემატება, არც შეიძლება ისეთი რთული და მეტათ დიდი საკითხის გადაჭრა უცებ, ერთის დაკვირვ.

უმისათ ომის გავრძელებას მოჰყვება აუცილებლათ ახალ ახალი დამარცხება, რაც რუსეთის თავისუფლებას საფრთხეში ჩააყენებს.

ღარჩა სეპარატული ზავი, რომელიც არავითარ საფრთხეს არ წარმოადგენს, თუ წინ და წინვე იაპონეთი იქნა დაქაყოფილებული.

მართალია ამგვარი ზავი მოკლებული იქნება რუსეთისათვის ერთგვარ რაინდობას, მაგრამ დანაშაუვი იქნება მებრძოლი სახელმწიფოების დემოკრატია.

თუ მან ვერ შეიგნო საერთაშორისო დემოკრატის ქეშმარიტი ინტერესი, რუსეთის დემოკრატია ვალდებულია, დიკვას თვისი ინტერესი, რითაც და როგორც შეუძლია.

ივ. გომართელი.



* *

ავციყვავდა მთა და ბარი,

ტყეს ფოთოლი გაეშალა,— ყველა უშუერს ტრფობის თვალთ, ტირილის ხმა მიიშალა.

ძმობის დროშა აფრიალდა, მტარვალთ ხელი მოეშალა, ჩამოგვშორდა ძვილი თანგი, მტრობის ცხე დაიშალა...

ვასო აფციოური

იურიდიარ ვაღერობანს!

დღეს ჩვენი ერი დღესასწაულობს დიხსი შეიღის, უხვგათ მუშაკის ქართული სიხნის ერთ ერთ დღა-ბობის ვ. გუნიას იუბილეის. განა ენა გამოსთქვას და კალამი ასწერს იმ ხარ-ველიან გზის გაულა გაველევის ისტორიას, რომლის დაძლევეც უხდებოდა ჩვენი მისხაობს ქართული თუტრის ზირველ დაწეების დღიდან მოულოებული ვიდრე დღემდის? ჩვენი თუტრის განვითარების ისტორია, ჩვენდა საუბედროდ მეტად სხვადასო, უოკელი მხრიდან შეხედველ და დახეჩვებულ ზირბებში სდებოდა. ვეკლასაგან დაქმობილი და უოვე დასამარბული ძველი რეჟიმი უოველ ეროვნულ თვით გამორვევას სასტიკი მეხრ უტეებს უტერდა, თვისუფალ გასაქენს არ ძძლევა საერთოდ და ჩვენ ქართველებს ეო განსაკუთრებით. თავისი უსუში ზოლიტეკით იგი თავის ბოროტ მიხანს მასწვევდა ხვად თუ კარგად მეტ-წილად თითქმის ასწვევდა.

მოწინავე საზოგადოებს ნათლად ემჩნეოდა გადაგვარების ნიშნები; შეოდა, თჰახი, დაწესებულებები და მოელი ცხოვრება ისე სელთგურდა იყო მოწოთაღი, რომ ერსგუნული ნატამალი აღარსად ემჩნეოდა. მეტი წილი ბრწინვალე საზოგადოების სამშობლო ენახე აზროვნება დაზარაქს სთავალად იმჩნედა მათი ესთერეური გრძობები მეტ სიამოვნებას ზოებდა სახანონო თუტრში "რტრავიტა", "ზიკავაია დამა" და მისთან ერთად ფურად-ფურად "ბაღერტუე" დასწრებით, ვიდრე ქართულ თუტრში "ღაღატა", "სამშობლო" "მისეგნლი" და სხვა მრავალ ქართულ ზეისის მოსმენით. ქართულ თუტრს და მის ერთველ, მრავლის დამთქნ მისხიობს დღითი დღე ხვადებოდა თანამტრობანი; ქანებრივ სიღარიბესთან ერთად ჩვენი მისხიობნი განიცდიდნენ სუღიერ მარტობასაც მეტ წილად ქართული თუტრის მუღმიეი მსმენელი იყო მღამიოკლასი: მუშა, სელასანი და მოსწავლე ხვადგანდები; "გალითრვა" გეტედლით იყო ხილმე მსმენელებით, "ლოთა-ზარტრეში კიო ცრთიელი სკამები საზრდაოდ გამოიქქირებოდნენ. ნუ თუ ჩვენ უზრდაო მომავლეანი ამ დროს წარმოვიდგენდით იმ მარტობის განცდას, რომელსაც



გრძობდა მითამაშე მსახიობი ნახევრად ცარიელ თეატრში? მაგრამ ასეთ, საზოგადოების მხრივ გულჯიბილობას შეეწვია ჩვენი თეატრი; მაღალი და სპეტაკი ახრით შემოიბოლი ჩვენი მსახიობი სულგრძელად ითმენდა უოველ კატარგებს, ის არ დაატობდა თავის მიწოდება-დანაშნულებას და ჩვენს ადამიანურ ენერჯიას წულობით ვაი-გაჯღახით მოიყვანა მან კიდევ ცოცხალი ჩვენი თეატრი განახლებას კარამდის. ვაჰ ქართველი მსახიობი! დღეს შენი განახლებული სამშობლო ჩავიკრავს ღვლობრივ კულში როგორც შენ ატრე-თვე შენს ძმა თეატრს; ირთვი ისე გაკათობთ ამდენი ხნით ცივი ნრდილოეთის ქროლოთ გა-რცობულს და უოველ დახმარებას, და დედობას გავწვესთ, შეგაძლებინებთ თავისუფლად გაზა-ღოთ ფრთები და განახლებულ კრივულ სტენი-დან გაუშუქოთ მას ქვეყნიურ სამთახისკენ მიმავ-ჯილი გზა. დღეს მამობულ თავისუფლების მომზადებულ მამახლოთებულ ერთ-ერთ ფაქტორ-თაგანი იყო თეატრი თავის წინამძღოდ, ერთგულ მსახიობითურთ, ამიტომ იმედია დღეიდან განახ-ლებული სამშობლო ღირსეულად დაიწყებს თავის თეატრს და მის მუშაკს, იბრუნებს ზირს იმისკენ და უოველის მხრივ ააუჯგებს მას.

დღემდის ჩვენი თეატრის განვლილ კვლინი ტზის გამკვლეველი, მესაჭე მხენ-მუშაი მსა-ხიობთაგანი; დაუცხრომელი შემბრძოლებელი უო-ველი უსამართლობისა და გულტრული მოღვაწე, სრული ამ სიტუციის მნიშვნელობით, ხარ შენ, ჰატევერული მოხუცო ბ. ვალერანს! სისხ-რულდით ვეგებებით ჩვენი შირს სათათრეთის ველ-მინდერებში შიოფნი ქართველად, შენ იუბი-დღის მწ. წ. შენ მაღლიერ ქართულ თეატრში მოღვაწეობის დღესწიულს. წრთველის კულით კილორეთ როგორც ზირად, ატრეთვე საზოგადო კრივულ დღესასწაულს; გასურვებთ დღეგრძე-ლობას, სიმხნევეს და ძალ-ღონის მოკრებას, რომ განახლებულ კრივულ სტენიდან კვლავ კი-დევ გასწიოდეს შენი მტკიცე და მკაფიო ხმა ნამდვილ სურათების განსასიერებაში. გაუმრჯოს ქართული მსახიობის კრივულ თეატრში; გაუმარ-ჯოს იოთარ ბეგისა სულის ჩამდგმულ ვალე-რანსს!!

პ. კავკ. მსრულ. პოლიკის მღვდ. ბ. ა. სა—ძე.

ვ. გუნიას იუზილიის მომწყოზ კომიტეტის.

„სულით და გულით მოძღვნილი მდირე-დიც შეიწირების“ და ჩვენც კეთილ გრძობებთან ერთად ვვადიერდებით მოკაძღვნით მდირედი წყლილი 65 მან. ბაღად ბილეუების ფასისა „სადღესასწაულო წარმოდგენასე“ დასასწრებად მანძილის სიძირისა და სამსახურის ზირობების გ. მო მოკლებული ვართ დავსწრთ ამ კრივულ ზეიმს, მაგრამ მანძილის სიშორე ხელს გვიშ-ღის ახრით და გონებით ვყოთ დღეს ჩვენი ღე-და ქაღაქ თბილისში თქვენთან ერთად გავიზი-რთთ ის კრივული აღფრთოვანება, რომელსაც დღეს განიცდიან განთავისუფლებული სამშობლოს ერთგული შევიანი.

მე პ. კავკ. მსრულ. ზოღეში მოსამსახურე ქართულ აფიცრე შემომწირველთა სია: ზოდ-ზოდე. ზ. ი. ბაღაშვილი, 10 მ., მღვდ. ბ. სარადიძე, 10. მ., ზრან. ბ. სარქისივი, 10 მ., ზოდ-ზოდ აღ. გორაკი 5 მ., ზრან. გ. კლი-საბეღაშვილი 5 მ. შ. მკაკვიანი 5 მ., დ. სკაია, 5 მ., აღი ქურციანი 5 მ., კ. ხუცი-შვილი 5 მ., და **П. Ярошенко** 5 მ.

მონღობილებით მღვდ. ბ. სარადიძე. 29 აპრილი 1917 წ.

საღამი თავისუფალ საქართველოც სენისებური

(ზმა პეტროგრადიდან)

ჩემს თავს ვუნიადი, უბედური კაცი ხარ მეუბო და თურმე ქე არ ვცდებოდი! ვეგლავრს ვიფიქრებდი და, ზეტროვრადშო თუ მოვხებო-დი ამ შიორე რეფლეთუციის დროს აღარ შე-გონას!

თქვენი რა მოგასწეროთ ჩემო ძამია, და, მე რომ აქ ჩემი თვალთ არ შევერებთ რაც ხდებო-და, ისე რაუა დეგეჟერებდი? ზირდაზარ სიზ-მანში შეგონა თავი. საღდითი, აფიცერი, მუშა, სტუდენტი, ქაღი, კაცი, ბავში დიდი, ჰატარა ვეგლავრთად შეერთდა და შეერთებულად ძირს ჩამოკადეს ჩვენი ნიკოლოზი. ნიკოლოზი, დიად ნიკოლოზი, რომელიც დღემდე ჩვენს სურტყედ სუქდება.

ხა! ხა! ხა! რა მისხრია რომ იცოდეთ, რომ



ნიკოლოზი თავისი მინისტრებით ჰეტრე-ხელო-
ვის კრებასტშია გაქანული. გენერალე რევი-
ლიუციაც უანერატოში. რაც მართადა, მართა-
დაა, ისეთი გულტარებილი ვაყუა დღემდე რუ-
სეთით, რომ ამას წინადა, ი. იმედშეილს რთეტ.
და ცხოვრებაშია დასაბეჭდით წეროდე გაუცხავ-
ნე, სდაც რუსეთს რასხეუტინის ქვეყნად ვადარ-
ებოდი და აწვეოდა არ მრწამდა მისი. თურმე ნუ
იტყოთ, მთელი ძველი რუსეთის მართვა-გამე-
ობა რასხეუტინის უთფელა დამურებული.
რუსეთის ხაღის ბედ იდბალი, ამ გარყვნილი და
ბოზი რეჟუციასა ხელში უთფელა. ვინ ჩამოთე-
ლის უველას, რაც ხელა გამაშვარვანა რასხე-
ტინის გარბეშია. რაც კინაყრბი და კინებში უფ-
ელა ჰეტრატრადში უველას რასხეუტინის თეჟა-
ნისმცემელი უთფელა. შერე რეიხა არ იკითხევი?
მარა ნუღარ მათქმევებოთ. სიტუციას და ბეჭედის
თავისუფლავს კია მარა, მინც შექნელებას. . . ისე
თქვეწ შეხვდით.

რასხეუტინის მძორი რომ ამოიდეს მიწიდან
და დასწესს, ეს ხელა გაგებული გექნება! ვენა-
რებულე რევილიუციონერებს, იკენმა იცინა შავა-
თი წამალი.

დღეს აქ, განახლებულ ჰეტრეს ქალაქში
რთეტრი და ცხოვრება წავაიკისე, სდაც იე-
ტომართელი დემოკრატის ემუდარება ავტონო-
მია მითხოვეთ საქართველოსთვისა. ამასც თუ
კიდევ შეწყნა უნდა და, ჩვენს საქმეს საშველი
ადარ ქქინა და ის არის. რაც ჩვენმა ტურფა
საქართველომ მისყერბლი კადო, განა ავტონო-
მიის დინსი არ ვიქნებოთ? შეიძლება ზოგაერ-
თი სოც. -დემოკრატები წინააღმდეგი დარჩენ სა-
ქართველოს ავტონომიის, შერამ ხელს არ კი-
თხვით? ასა ხომ ხელსი უაბეუროთაც არჩევეს
შეყს და თეთრსი შე კი ჩემდა თავად მიფართავ
სხვაბრელ გუარას საქართველოსთვის ავტონო-
მია მოითხოვონ. გურია უოველეთვის მიწინავე
კუთხეთ ითვლებოდა საქართველოში და დღეს
ხომ შეტე მიწინაობა მართებთ. სოც. -დემოკრა-
ტი, სოც. -რევილიუციონერი, სოც. -ფედერლის-
ტი, ნაც. -დემოკრატ და კრთი სიტუციით უველას
დემოკრატ ავტონომიის საკითხში უნდა შეერთ-
დენ, თუ არ უნდათ თავიანთი ქვეყნა და ხაღის
ჩამორჩენს სხვა დანაგრულ კრებს. მამ სილაში
გურიას და სურთოდ თავისუფალ საქართველოს.

პრ. ახკანელი

ქლოთა შეხახებ

ლექია ლომისა სწორია,
ბუ იყო—თუნდა ზვადია!
შოთა

ძველ მთავრობის ხელში ქალი და კაცი
მონობის მძიმე რკინის უღელ ქვეშ ვიყავით
ქედ-მოდრეკილნი, ბრმა სახმარ იარაღით და-
კანონებულნი. არავითარი თავაზიანობა, სიბ-
რალოული, თანაგრძობა მტარვალთ გულში
არ ჩაღწევდა.

აი, ის ცა მრავალ მზიბლავ ჯადოსნურ
ღრუბელ-ვარსკვლავებით რომ აყვავილდებო
ხოდმე; აი, ეს დედაშიწა უთვალავ ფერის
სამკაულებით რომ მოკარგულა და აგერ ის
ახოვანნი მთანი, ამაცნი და ცათ აღმართულ-
ნი, სდაც უზარ-მაზარ სივრცის სიშორით
ატყორცნილ ხეების ფოთოლოთ სისინ-შრილი
და ფრინველთ საამო გლობი ერთმანეთს ეჯი-
ბრებინ; ეს უუცეკლუცესი, ნარნარი აღმიან-
თა სალიზოთ შექმნილი ბუნება კაცთა უმ-
რავლესობისთვის შე ბნელ სუდართ იყო
შებუბვილი, კუბოში მწოლიარე უსულო
სხეულსავით უსარგებლო. თვით ამ ჰაერით,
რომლითაც ყოველი ნადირ-ცხოველი, ფრთო-
სანი, ჭია-ღუა და მცენარე, ხე, ბალახ-ბულა-
ხი თავისუფლად სუნთქავს, საზრდობს, კაც-
თა უმეტესობისთვის აკრძალული იყო, მაგ-
რამ უფრო კი დედაკაცისთვის იყო რთული
ცხოვრება, მწვევე და უუქლმართად მიმდი-
ნარე.

სადაც მონა მამაკაცს შეეძლო ხმა აღე-
მალდებინა, საზოგადოებრივი საქმის შებრძო-
ლებით აზვითებული ბოღმა-ვარამი შეემსუ-
ბუქებინა, იქ მონა დედაკაცს პირი აკრული
ჰქონდა, მანქანათ მოსიარულე უმოქმედო თო-
ჯინასავით გზა-კვალ აბნეული დახეტიალობ-
და; ციმბირ-კატროლა-სახარობელთა ციხე კი მა-
მაკაცთან თანასწორედ ჰქონდა.

საუკუნოებით გულში დაგუბებული ნაღ-
ვლის ტბა 1904—1905 წელს ძალომად შეე-
ირცა, იწყო წვეთ-წვეთად დენა და წელს მი-
მდინარე 27 თებერვალს ჩაგრულ მამაკაცთა
გულუნს ქალმაქ შეუერთა ხმა და მკერდ-ვა-
ზობილ გულთან ერთად ნაღველიც მითლად
დინთხა.



მაგრამ მონობისგან განთავისუფლებულ მამაკაცს ჰსურს ქალის პიროვნება ისევე ძველ დესპოტიურ ბრწყინებში იყოლიოს, რომლის მაგალითიც უკვე მოხდა სოფ. ახალქალაქის აღმასრულებელ კომიტეტის არჩევნების დროს. შეგნებულმა მუშებმა, ჯარისკაცთა და ქალებმა მოითხოვეს კაცებთან ერთად ქალიც ყოფილიყო ამორჩეული, და გაპყვანდათ კადეც, რომ ვიღაც მოსულ პროვოკატორების ჩაგონებით ქალის ამორჩევა მამაკაცის დამცირებად არ ჩაეთვალნათ, რომ გლეხებს აურ-ზაური და ღრიალი არ შეექმნათ:

- ქალს უფლებას არ მივცემთ.
- თავისუფლება ჩვენთვის მოგვიპოვებია და ქალს ვერ გაუყოფთ.
- ჩემ ცოლს თავისუფლება რომ მივცე — თავზე გადაიხტება.

— ქალი მოსამართლე რომ გვეყოლება, ცოლების დატუქსვის ნებას აღარ მოგვცემს.

— ქალისთვის საჭირო არ არის თავისუფლება: ჩვენც კარგად გავაკეთებთ საქმესო და სხ.

იცოდნენ ბნელეთის ტრუ-დემოკრატებმა: ქალი დღეს იმდენად არის პოლიტიკურ-სოციალურ ძლევამოსილ ნიადაგზე მოშხადებული, რომ სამკვდრო-სისაციოცხლო ბრძოლას ასტეხს და უფლებას დამკვიდრებს.

გაუმარჯოს, ქალთა უფლებას! გაუმარჯოს მოქალაქეობრივ ძმობა-ერთობა-თავისუფლებას.

ანეტა კაპანაძისა



ნერგო ალექსანდრე პაიჭაძე

პოდპორუჩიკი 220 სკოპისკის პლესა 55 დივიზიისა. დაკარგა უკვალად 1916 წ. მარიაშობის თვის 12 გერმანიის საზღვარზე, 23 წლისა



ან. ჯავახელი

8 წ. რაკ პროვინციის სენეხუა



წ. ურუშვაძე

სამხ. სამხატურში გაწვეული

მ ს ა ხ ი თ ბ ნ ი



გუშინდელნი

კომედიას ვ მოჰქმედებთ შალვა დადიანისა
(გავრძელება. იხ. „თ. და ც.“ № 18)

მოქმედება მეორე.

იგივე სანახაობა. მხოლოდ ეხლა ა ვანზე ბლომით არი-
ან მოსულენი, გლეხები, თვადები და სტრაფნიკები.
ყვალა ფეხზე დგას და ჩამომწერივებულენი არიან.

ა

ხსენებულთ გარდა სენჯანზე არიან: მამასახლი-
სი მალხაზ, თ-ლი კოწია, ჯიბო, პაპუნა,
კარლო, ყაყუტაძე, „ფოფოლია“, კოწიას
კნენია. ესენა სხუდან ზოგი მაგიადსთან, ზო-
გი იქით-აქეთ ტახტებზე.

კოწია. (მალხაზს) რა ღაგემართა, შე-
გლახა, შენ... აქამდე სად დღეიკარგე?

მალხაზ. პირდაპირ მოვკალი, ყმაწყვილო
ცხენი. როგორც კი გავიგე, რომ აქეთ
წამოსულიყო, სულ ქენებ-ქენებით წამოვიდი.

ჯიბო. ჰო, კარგი ახლა, კარგი. აჰა,
ასე არა? ძმებო! ისევე მამსახლისმა უთ-
ხრას სოფლის მეგობრ სიტყვა...

გლეხები. კი, ბატონო, კი, მამასახლისმა,

მალხაზ. (წამოაღება) რა არ დღეჯერებთ
კაცისას... ყმაწვილებო, მე მამასახლისი ვარ,
ხელ-ქვეითი ვარ, გვიგონეთ ეეს.

ბ.

კოწია მარულა, კაცო, რას ჩააცი-
ვლით ამ კაცს...

მალხაზ. ერთი რომ დამიფაფხუროს მი-
წა უნდა გამისკდეს...

ჯიბო. მე გითხარით და არ დამიჯე-
რეთ... სხვა ევირჩიოთ — მეთქი... რაფა, გაწ-
ყდა ჩენში კაცი თუ?

კოწია. მე რომ მკობოთ, სულ მეტია
ახლა დეპუტატების არჩევა და სიტყვის მოხ-
სენება... ეგ როგორც შევიდა, მაშინვე უნდა
ყოფილიყო, თვარა, ახლა აგერ საცაა სადი-
ლი უნდა ვაჭამოთ კაცს, უნდა წვეიქვივოთ,
რა დროს რჩებია?

ჯიბო. რაფა გეტყობა, რომ კნიაზი
ხარ... შენ ჩემო ბიძია, ფეხებზე გკიდია ჩე-
ნი სოფლის გაქირვება...

კოწია. თავს ნუ იგდე, ყაძახი!

ჯიბო. შენი ყაძახი, მადლობა ღმერთს,
დიდი ხანია აღარ ვარ... იქ მეიკითხე მთებ-

ში, კინკიზოზე, რაცხა ქვების საბოქავით
რომ დაუხოკიალობ...

კოწია. გვალახავ, მამა ჩემი არ წამიწყ-
დება!

ჯიბო. (გამოაჭიმება) ვის გვალახავ, ვის? .
ღმერთი არ გაიწურეს, ფეხი არ გადმოდგა,
თვარა ისე წამოაქციო, რაფარც წიფელა...

კოწია. (წაიწვეს) ვის უზედავ, ბიჭო
შენ.

მალხაზ. ჰო კარგია ახლა. . რა დროს
ჩხუბია...

კოწიას კნენია. კოწია, შენი ქირიძე,
რაფა გეკადრება!

„ფოფოლია“. კნიაზო, დაეთხოვე. —

პაპუნა. (ჯიბოს) რა დროს ჩხუბია, კა-
ცო. სირხევილია. ცა და ქვეყანა აქ არი...
ვეზღი ნაჩლინიკი აქ ბრძანდება...

კოწია. (ცოფს) აჰა, რაფა მიბედავს.

ჯიბო. არ წამეწიო აქეთ, არ წამე-
წიო.

ხმები მეიცა, შე-კაცო.

მალხაზ ჰო კარგი ახლა. აბა არ გინ-
დათ არავინ ამეირჩიოთ?

ჯიბო. მე ჩემი მხრით ისევე კარლო
ყაყუტაძეს ვასახელებ...

კარ. მე გითხარით და გუჟუნებით, რომ
ამ თქვენ საქმეში ვერ გავერევი. მთავრობის
სიკეთე არ მწამს და იმას არც არაფერს
ვთხოვ...

მალ. კაცო. ახლა სოციალისტ კაცს
გზანით მთავრობასთან?

ჯიბო. (გარდას) ბიჭო, აბა რაზე ერევა
მარაქაში? — გინდა სეირს უყურო?

კარ. (წამოაღება) მე არაფერში არ ვე-
რევი... აქ შემთხვევით მოვხვდი და სიამო-
ვნებითაღ დღევრებ ამ მძიმე ატმოსფერას.
(დახურავს ქვეს და გადის)

მალ. აბა დაასახელეთ — მეთქი ვინმე.

პაპ. ვილა უნდა დავასახელოთ, კაცო.
შენც ერთი ახ-რხბული ხარ. საცაა ვეზღი
დნაჩლიკაც გამობრძანდება, ისევე შენ უნ-
და იყო სხვა ვინ იქნება?

ხმები. შენ, შენ, ბატონო მალხაზ, და-
თანხვდი.

ჯიბო. მამასახლისი აბა რათ გვინდობარ,

თუ ჩვენ გაქირებებზე სიტყვას ვერ დაძრავ. არა ამდენი სალაპარაკო გავ? ეკლესია დანგრეულია, სასწავლებელი დაკეტული, გზები არ გვივარგა, ბაღი გავერანებულა, ბოგირი ჩატყეული და სხვა

მალ. (შეგვიანებით) აბა იცით, ძმებო, რა ვითბრათ? ეკლესიაზე და სასწავლებელზე ვერაფერს ვერ ვიტყვი. ეკლესია... ეს სასულიერო მთავრობას შეეხება და მანძის უფროსს რა ესაქმება. რაც შეეხება სასწავლებელს. როგორც გვივარგე, ცუდათაა ძან მისი საქმე.. ამ ჩვენ ჩხუბს და კორწი-კორწში მთავრობას ვადაუწყებთ, რომ გადმა სოფელში გადაიტანოს... (სადაღუფთ) მგონია ცოტა ქრთამიც კი გაუღია ვაღა სოფელს და... ახლა ჩვენგან უხერხულია ამაზე ლაპარაკი.

ჯიბო. რას ამბობ კაცო.— ვგა გვითხარი.—სად იყავი, კაცო, აქამდე?

ხმები. აბა დავლუპულვარა და ის არი.

მალ. მხოლოდ გზებზე და ბაღზე რა უნდა უთხრა? ეს ჩვენზე არ არის დამოკიდებული? თუ გვინდა გვაკეთოთ, თუ არა და მანძის უფროსი კი არ გავიკეთებს.

ჯიბო. იმე! აბა რაზე მოგვდით აქ? ამ სოფელში ტყეულია ამოგვირჩია ამდენი კაცი, რამე ხერიანი გამოგვიწყებთ?

მალ. ასეა, ბიძა და.— მე ხომ არ შემიძლია და არა, მაგრამ არც თქვენ გირჩევთ რაიმე სიტყვა დამართ ეკლესიაზე და სასწავლებელზე... და საზოგადოთ სოფლის გაქირებებზე ვინ იცის რამე ეწყვიროს და შეიძლება საციმბიროთაც გაგიხდეთ საქმე. (შეუხა. შექაპა ზეშათ არის)

ჯიბო. (თავისთვის ჩაილაპარაკებს) აბა, სულ დავლუპულვართ და ის ყოფილა... ეჰ, როცა ჩვენ ნასტავლი მამსახლისი ევირჩიეთ, მაშინ დებვეფსო თვალები.

გ

ქილორდავა (შემოვარდება) ჩუმა! ნაჩალიკი მობანდება!

ყველანი (ჩამწკრავდებიან, შექაპაზე წინ მამსახლისი და სანჯარათ უბიდან ამოღებულ ძეწვეს გადაიკვებენ)

გ

მანძის უფროსი, პრისტავი ჩალიანი, კნ. ჩიტუნია, ფაცია, აღიკო, აგრაფენა.

მალ. (მანძის უფროსის წინ გამოიჭიმება)

თქვენო მაღალ-კეთილშობილებავ! ჩვენი სოფელი ჩემის პირით გილოცავს აქ მშველობით მობანდებს და ბოდიშს იხდის, თუ ისე ვერ დაგზავდება, როგორც შეგვეფრის, მხოლოდ გულწრფელად მოგახსენებს ძველის სლავიანურის ენით: владыко, гряди и володѣй нами.

მან. უფ. Спасибо, братъ. გადაეცი სოფელს ჩემი გულწრფელი მაღლობა და უთხარი, რომ ამ ეჰამდე მე საქმისთვის არ ჩამოვსულვარ... ეს—благодаря любезной княгини Читунья совещрили partie plisir (პარტი პლეზირ). სასიამოვნო მოგზაურობა გავმართეთ... მაგრამ აი, სხვა დროს ჩამოვალ და მაშინ კი თქვენ საქირობნასაც გავპაწონობი...

ხმები. იცოცხლეთ, ბატონო, იცოცხლეთ!

„ფოფ.“ (გაწითლებული წინ წამოიწვეს) ბატონო ნაჩალიკო. (ეუკლავს გაუგებრდება მისი გამოსვლა, სიკვამლე, თავს იკავებს)

მან. უფ. Что прикажите, любезная?

„ფოფ.“ ჩემი ქმარი აქაური მღვდელი განლაეთ... აქ არ არის ახლა ის დალუბული. (აქა-აქ გასისამ: „ფიხუ!“ მანძის უფროსი იღამება) მღვდელ-მთავარს იახლა საქმეზე, თორემ აქ რომ იყოს უთუოდ თქვენს წინაშე წარდგებოდა და მოგახსენებდათ, რომ ის ერთი უბრალო ღეთის მოსავი მღვდელია, რომელიც ყოველთვის ლოცვა-ვერდებას აღავლენს ჩვენი ქვეყნის უფროსებზე...

მან. უფ. Очень радъ, очень радъ. (მიადის სეღზე აკოტებს და ისევ თავის ადგილას პრუნდება).

აღიკო. ბრავო, ბრავო, ფოფოლია.

„ფოფ.“ უი, გაგიწყდა მიწა... კინაღამ გამაძინე.

აგრაფ. მშვენირათ თქვი შენ არ მომიკვდე...

ფაც. ძალიან თამამად.

კნ. ჩიტუნია. Не правда ли какъ все это мило?

მან. უფ. Одины восторгъ, княгиня!

კნ. ჩიტ. მაშინ ხლა კი წვიდეთ... ჩვენ, ფაცია... ხომ წამოვივალ?



ფაც. როგორ არა, ეხლავ. ქუდს დავიხურავ და... მართლა, ცხენი ხომ მეყოლებო?

ქნ. ჩიტ. როგორ არა! სედლო კეკელას ვამოართვი.

ფაც. კარგი, კარგი (ჯარბის)

მაზ. უფ. (ქნ. ჩიტუნას) სად მიბძანდები?

ქნ. ჩიტ. აქ ერთი გენერალია, ბერდოსანი... ბიძით მომხედვება... უნდა ვნახო უთუოდ...

ჯიბო. (თავის ჯვრებს) მართლა, ბიჭებო, გენერალი... იმან თუ ნახა ვეზლი ნაჩალიკი, ის კი ეტყვის მართალს.

პაპ. რავე? მამასხლოსის სიტყვა არ მოგეწონათ? (ამასობაში მაზრის უფროსი და მისი ჯგუფი ჩუმიად სუბრობენ)

დათ. რავე არ მოგეწონა.

ხმები. მშვენიერი სიტყვა იყო.

მაზ. უფ. (პრისტას) О чемъ они говорятъ?

პრი. ტავი. Ничего, ваше высоко-благородие

მაზ. უფ. მაშ უთხარი ეხლა დაიშალენ...

პრიხტავი (ხმა-მადლა უცხადებს) ნაჩალიკი გიბრძანებთ: მაღლობელი ვარ, ეხლა კი დაიშალენითო,

ხმები, ღმერთმა გვიცოცხლოს ნაჩალიკის თავი.

(გლეხები, „სტრაჟნიკები“ და სხვა სტუმრები ჩადან კაბაზე. მათვე ტყვეება აღიკო, ჯიბო, პაპუნა. „ყოფოფოდა“ და ატრაფენა კი შინა ოთახში შეეკლან. სენაზე რჩებან: მაზრის უფროსი, პრისტავი, ქნ. ჩიტუნა, თ-დი კოჭია, მისი კნეანა და მადლხაზი)

და

ფაც. (შეშალის შორთული) აი მეც მზათა ვარ...

ქნ. ჩიტ. (მამასხლისს) შენ კი არ წამოგეყვები, მალხაზ?

მალხაზ (ანიშნებს მაზრის უფროსზე)

როგორ დავტოვო, კნინა, თვარა თქვენთან ყოფნას რა შირჩევნია.

მაზ. უფ. არა ვგ.. Ничего.. მაგრამ, მართლა, აქ დამიძახებთ სტრაჟნიკს კნიაზ გორგასლანიანს.

მალ. (აიწიდან გადასახებს) Стражникъ, князь Горгасланианъ!

მაზ უფრ. (ქალებს) Такой онъ кавалеръ...

ფაც ვინ არი? რომელი გორგასლანია?

ქნ. ჩიტუნია. დიდი ვახტანგის შვილის შვილი...

ფაც. ბეჩა, მეგრ სტრაჟნიკათ წავილა?

მაზ. უფ. ოო, онъ далеко пойдетъ...

მე თუ დავრჩი ამ მაზრაში... დავაწინაუბრებ...

ქნ. ჩიტ. Конечно, უნდა დარჩეთ... ეხლა აღარ გაგიშვებთ... მე გუმბრნატორს ვეტყვი... ვანა არ მოგწონთ თქვენი მაზრა?

მაზ. უფ. Охъ, одинъ восторгъ княгиня...

(გაგრძელება იქნება)

შალვა დადიანი

არბრათის შთა

ვუძღვნი პროფესორს ივანე ივანეს ძეს შირაკოვორთეს ... მიდახარ სმარსკეთში და გიხარია უცხო ქვეყნის ნახვა თავის ხალხით საყოფად მიწაწვალზე. ჩველები მატარებულში, აღუქსანდროზოლოდ და რეინის ცხობთ მიფრანზე სამსრეთ-აღმოსავლეთისკენ. თქ, რა კარგია მოგსაურობა. კარგა მინდილი გაიარე, კიდევ მიდახარ. მიდახარ და შორს, ძალიან შორს წყნარად მომიდახარე არაკის მარჯვნივ, ცხობთ, შენ თუაქწინ იბადება მშვენიერი სანახაობა — არბრათის შთა. მისი უინების გვირგვინით მოქარგული მწვერვალე უცებ იბურაბა; შენს უურადლებას და თავდაუწყებელი უძქერის ამ უცხო სანახაობას. მიდახარ, უძქერო, ის თანდათან იბრადება, თანდათან ამოდის. მადლდება. თითქო მზე აღმოსავლეთით ცის კედლიდან ამომავალი. ბევრი გაიარე, ისევე მიდახარ. ესლა საყვებით ქსელავ არბრათის შთას, შენ გკონია ეს ესა მთლად მიუხალოფი, კარგა და უახლოფი, მაგრამ არა! თუაღი გატრუებს: შენ მისკან ისე შორსა ხარ, როგორც პირველად, მის დახსენადის. მისი უურებოთ თუაღი მოგეკანება, მაგრამ შენ მანდ არ ამოვრებ თუაღს, მის სანახაობას; იმითომ რომ არ გეწინდება მისი უურება, თუაღი ვერ მოგიმორებია მის სანახაობისათვის, იმითომ რომ შენ არ გინდა მის სანახა-

ობას თვალი მიაშორა. შენ უნებლიე მოსწვევით თვალი მის სანახობას, მაგრამ იგი მაინც შენ თვალიდან არის: საითაც უნდა მიხედო, ეველებანი მისი თეთრი ხაერდის კალთებია დაფენილი და ამ კალთებში, ვით ოცნების ღამხარა არაბათის მთაა ზე აღმართული. შენ იმის ცქერით მიგელოძი: ჩაგეძინა, მაგრამ სიღამე ჭედავ არაბათის მთას. გაღვიძებ, ვაგონის კუჭში ფანჯრის მუქ ფარდას ხელს გადაჭკრავ. შენს თვალიდან არაბათის მთაა.

ის დიდა. სძვეს მიწაზე, ვით შეიღუთხიანი ვარსკვლავი. განს შეამძრეხს რამე თუ? მის წინ აღმოსავლეთით მატარა არაბათა, ეგ ხომ დიდა არაბათის ანდლიდა, ღანდი, ვით კუდავარსკვლავი.

კარგა არაბათის მთა დიდას, მზის ამოსვლისას, როცა ის ქობორს აფარცხის, ნისლებურუსს ირეკავს ვერცხლის გეარგვინით მოკარგულ თაზე და შიშველ დაქუჯა თოვლ-ფინიის ველალებში საამურდ იქსავს, აქარავს მზის აღმსფერ უმინკო სხივებს. საოცნებოა მაშინ ის: მზის ნანჩქერი მის ქობორში ღვთივას, ვარგარებს, თვალთ-წარმტარ ღამხა ფერადლებად ერთება, კანთებს, ისტება.

სასწაულებრივია ის ღამით, მოწმენდილი ცის ქვეშ მთვარის ღამეში. სიძინავს არაბათის მთას. დრუბლის თეთრი სუბუქი გამსჭვირვალე ქულები მის ზედა-პირზე გაბარდნილ-გაფანტული, კრძალვით, მოწმენებით ესუმრებიან. საიდუმლო მარსაფარში მთვარის ნახი სხივები ჟადასწრს ძალით სრიალებენ, მძინარე მთას თავს, ქობორას, სანეს ცეცხლის მარგალატებავით ეფრქვევიან, ჭკოცნიან, ამბორს უფოფენ, ესუტებიან, ოცნების ცრემლებად ეფრქვევიან.

ნახია ის, როგორც ბავში ავ, ცუდ ტაროსში, როცა ცა კავბე-შეკრული დედამიწას ექადაბა: მაშინ დრუბლები, ნახი დრუბლები პარველები მის მწვერვალზე იურიან თავს, გროვლებიან, არაბათის მთას გულმკერდს, კალთებს უხურავენ, რომ ზეგით მომავალმა ბუნების სტიქიამ არ შეკრთოს მისი სარკე გული.

მის ზედა პირზე უინიის აკლამაში, გადმოცემით, ნოეს კიდობანი მარხა. ამის ხომ ვერჩევი ნახავს: იქ ამსვლელი არაბათის ამისო, როგორც მზისზე, მთვარეზე. და რომ ავიდავს ვინმე, უინიის აკლამაში თვალი მაინც ვერ წახ-

წავება, როგორც ოკეანეს უფსკრულს სივრცეში თვალები ვერ ჩასწვდება...

გვგანი ფურცხვანიძე

შრომის სამიფო

(გარემულეა. იხ. „თ. და ც.“ № 19)

ოლის მაშის კოსანდილეს ოჯახურა მუგომარეობა მეტათ შერყეული. იყო მიწა აღგილი არ გაანდა და მთელ დროს ის მემაშულეთა აღგილემში ატარებდა მძიმე შრომაში; იღებდა იჯარით საყანე მიწებს და დღე-ღამე შეუსვენებლივ მუშაობდა. შრომობდა, არ ისვენებდა, მაგრამ მაინც ღარიბად ცხოვრობდა, ტანზე არ ცეცა, საქმელი არ ჰქონდა, სანახევროდ მშვიერი იყო.

მაშამ კოსანდილევ პატარა დატოვა. დღემ, ცოტა წამოიზარდა თუ არა, აღგილობრივ მღვდელს მიიბარა მოჯამაგირედ. პატარა კოსანდილემ მთელი ექვსი წელი მოჯამაგირეობაში გაატარა. ახალგაზღვრი სიჯანსაღე მღვდელ ოიანესთან აღგავიდა. იქ კო პირველიად მანთ ნახევარს აღვიდენ თვეში და ბოლო წელს მისა ჯამაგირი ხუთ მანეთამე ავიდა, მარა რასაც ღებულობდა, დედას მიქონდა, რადგანც ქვრივად დარჩენილს სხვა არავითარი საშუალება არ ჰქონდა, რომ გადასახადები მოეშორებინა და ოჯახის მოთხოვნილებანი დეკეპაოფილებია.

კოსანდილევ მოჯამაგირეობაში აიზარდა და ჯანმრთელობის მხრივ დაზიანებული შინ დაბრუნდა. დაბრუნებისას შეეცადა ოჯახის მოწყობას, სახლის ამენებას. ამის გამო დროებით მიატოვა სოფელი და სამუშაოდ რკინის გზის სადგურისკენ წავიდა.

— მეც აუცილებლათ უნდა შევიძინო მიწა, გავაკეთო ერთი თვალი ოდა, ცოტა უკეთესად უნდა მოვიწყუო საქმე და შემდგე ქალი უნდა მოვიყვანო. — ასე ფიქრობდა კოსანდილევ და ამის განხორციელება მას ავალებდა სადმე ფული ემოვნა და ისიც სოფლიდან მიეშურებოდა...

რკინის გზის სადგურში კოსანდილემ ორი წელი დარჩა. ხან ათ შაურს იღებდა, ხან მეტსაც დღემ, მარა მის ლტოლვილებას თანდათან ბოლო ეღებოდა; ფული ვერ შეგროვო.



პირიქით ჯადოსავან უფრო მოტყუა და მესამე წელს ისევ სოფლად დაბრუნდა.

— რა ვქნა!.. როგორ მოვიქცე?.. როგორ შეიძლება გამოვიდგე ამ სიღარიბიდან?.. — შინიად ეკითხებოდა თავის თა ს და გამოსავალი კი ვერ ენახა. ამავე დროს კოსანდილემ ხედავდა მის გარშემო ზოგიერთები იუმჯობესებდნენ ცხოვრებას: აყეთებდნენ სახლებს და უფრო კარგად ეწყობოდნენ. ხედავდა აგრედვე მასვით ღარიბი და უფრო ცუდ მდგომარეობაში მყოფთა.

რკინის გზის სადგურიდან დაბრუნების მეორე წელს კოსანდილეს დედა გადაეცვალა. დაჩა მარტოთ ოჯახში, რომელიც შესდგებოდა ერთი ქიხისაგან, პატარა ნაღისაგან და სანახევროთ დარღვეულ ფაცხისაგან, ამას ემატებოდა ნახევარი ქცევა მიწა და ამით თავდებოდა მისი საკუთრება, ეს იყო ყველაფერი. კოსანდილემ დიდი გველენა იქონია დედის სიკვდილით. მარტოდ დარჩენილმა დროებით ხელი აღო მუშაობაზე და სულ დაღონებული დადიოდა. აღარ ზრუნავდა ოჯახის აღდგენაზე და ვერც სოფელს შორდებოდა...

დედის გარდაცვალების შემდეგ დიდიმ დრომ გიარა, კოსანდილემ ისევ მოიბრუნა გული, მუშაობას მოაკიდა ხელი და მისმა ახლო ნათესავებმა რჩევა-დარიგება მისცეს კოლის შერთვის შესახებ.

— ქალი მოიყვანე, მზითვ-ფულს აიღებ, აღებულ ფულით სახლს ააშენებ, მიწას იყიდი და შეძლებული გლეხი გახდებიო.

კოსანდილემ პირადად წინააღმდეგი იყო კოლის შერთვისა, მაგრამ ბოლოს თანდათან აღებრა სურვილი და კიდევ შეუდგა საქეს:

— შეიძლება უკეთესად მოვაწყო ცხოვრება!.. გამოპაროდნენ იმედები, მზითვი შემეძინება, ფულს ავიღებ, მოყვრები მიყოლებმა, — ფიქრობდა კოსანდილემ.

კოსანდილემ თავისი განზრახვა ასრულა, ერთ მახლობელ ახლგაზდა გლეხის ქალზე ჯვარი დაიწერა. ეს მოხდა ასე: ერთ საღამოს წაიყვანეს ქალის საჩვენებლად, ნიშანი წაიღო, ნახა უცნობი ქალი. ქალის მშობლებთან შეთანხმდნენ მზითვზე, ფულზე და ორი თვის შემდეგ ქალი სახლში წაიყვანა.

კოსანდილემ ქალის მოყვანის შემდეგ გული დაიდვა და შეუდგა უფრო მხედ მუშაობას: თავისი პატარა ქიხი უკეთესად მოაწყო, ეზო შეღობა, იჯარით მიწა აიღო და თავისი შრომა ერთი ორად გააღიდა.

კოსანდილეს ცოლი მავა ერთგული ახლოგაზდა ქალი გამოდგა, ისიც ოჯახურ მუშაობაში ჩაება, შინაური ფრწველი გაიჩინა, ბოსტანი მოაწყო და ასე ორი ადამიანი თავგანწირულად ჩაებნენ შრომის ფერხულში.

— კინაღამ დაეტოვე ჩემი სოფლი, ჩემო მავა! — უბრა ერთ დღეს კოსანდილემ თავის მეუღლეს.

— რისთვის ჩემო კარგო? — დაეკითხა ცოლი.

— იმისთვის რომ გული ამიკრუვდა. ღარიბი კაცი სასოწარკვეთილებაში ვიყავი და აღარ მქნდა იმედი, თუ კიდევ დავიწყებდი შრომას. ხელა მადლობა ღმერთს, შეიძლება გამოტრიალდეს ჩვენი საქმე!..

— ნუ გეშინია, ღვთით ყველაფერს მოვესწრობით.

— ვნახოთ, რას გვეტყვის ჩვენი იღბალი.

— აი ჩვენი გიტოვი რომ გამდიდრდა, სულ მუყაითობამ ქნა და ჩვენც ასე ვიქნებით ადრე, ჩემო კოსანდილე!

— არა, მუყაითობიზა არ მომიკლია ხელი, მარა წელი ვერ გავმართე. გიტოვი კი სულ სხვანაირი კაცია.

— მეც ვატყობ ეშმაკია.

— ზრებთან დადის, ვაკროზს და ამით მოაწყო საქმე, თორემ ჩემ ავით ტყავ-გამძვრალი იქნებოდა!

— ღვთით ჩვენც კარგად ვიქნებოლით. ჩვენი სოფელი უხვი და მდიდარია...

მართლაც სოფელი მთიეთი ბუნებით მდიდარია. ის გაშენებულია მომალლო გორაზე, ირგვლივ ტყე არტყია და ორი ვერსის მოშორებით კი მაღალი მთები დასცქერის. სოფლიდან დასვლიეთით თვალ უწყდენი საყვანე ველებია, რომელიც ეკუთვნის ადგილობრივ მემამულეთ. თვით კოსანდილემ ტყის განაპირათ იღვა, მისი ეზო წყლიან-ქობიანი ადგილი იყო, მხოლოდ კარგად მოეშენებიათ, ხანგრძლივ შრომას ნაყოფი გამოეღო.

ბუნებით საუცხოვო სოფელი ერთი შე-



ხედვით ვაგიტაცებდათ, მაგრამ როცა კარგად გაეცნობოდით, ქუჩების მაგიერ ტრაპიზონი ქრილებს ნახავდით, ეზოების მაგიერ — წყლიან მიდამოებს, სახლების ნაცვლად ქოხებს; ბოლოში მოგაწვებოდათ, როცა ნახავდით, რომ ბუნებით შემკულ მხარეში ყველაფერი სულ სხვა გვართ მოწყობილიყო.

სოლის შუა გულში კი იყო უფრო კარგად მოწყობილი ს.ხლები, მშვენიერი ბლით მორატული სასახლე, დუქნები, ეკლესია, მაგრამ აქ შეძლებულნი ცხოვრობდნენ.

— როდის მოვესწრები ასეთ ცხოვრებას? — შეეკითხებოდა ხოლმე კოსანიდლე თავს, როცა ამ უბანში გაივლიდა.

(გაგრძელება იქნება)

ა. ჟუჟისპირელი

რჩ

წვრილი აგებუი

ვალდ. დარიაშვილის წლის თავის შესრულების გამო კვირას 7 მაისს, ქვაშეთის ეკლესიაში პანაშვილია დანიშნული, რასაც ვ.ა. „ხალხის თეატრალური“ და ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“ ამხანაგთ, და თანამგრძობთა აცნობებენ. წერა და წყება დილის 10 ს. ესთხოვთ ამხანაგთ დაესწრენ.

ავლაბრის თეატრალური პალასში, ა. შერმ. ხანოვის თოსნობით მაისის 9-ის სკენ ს მოყვარეთაგან წარმოადგენილი იქნება „კანალი არსენა“ „ტიმოთის ლეღვი“, დასწრულ დივერტისმენტი. დასაწყისი საღ. 9-ის ნახევარ საათზე.

„ხალხის თეატრალური“ 9-ზე ნომერში: სხვათა შორის დაბეჭდილია ივ. გომართელის წერილი-ავტორიზაციის: ანანი სოფლის ხალხისთვის.

ამ გაზეთის მორიგი 10-თე ნომერი უკვე გამოვიდა და თითქმის მთელი ნომერი ლაღო დარჩიაშვილს ეძღვის.

ქართველ მსახიობთა საპროფესიო კავშირი

კვირას, აპრილის 30, ახალი კლუბის შენობაში გაიხსნა კავშირის დამფუძნებელი წევრების კრება. სხდომას დაესწრა სამოც კაცამდე. კრება გახსნა საორგანიზაციო ბუროს თავმჯდომარემ შალვა დადიანმა. მისალოცი სიტყვის შემდეგ კრებას სთხოვა, პრეზიდიუმი აერჩიათ მისივე წინადადებით საპროფესიო თავმჯდ. ერთხმით არჩეულ იქნა დამსახურებული მსახიობი ვასილ აბაშიძე, თავმჯდომარეებად: ვალ. გუნია, კ. შათირიშვილი და ბ. ბეგლარიძე. მდივნებად: ივ. ბარველი და გ. ფრონისპირელი. კრებას სიტყვებით მიმართეს ქართ. დრამ. საზოგ. გამგეობის სახელით ი. გედევანიშვილი, „თეატრი და ცხოვრების“ და „ხალხის თავისუფლების“ რედაქციების სახელით იოსებ იმედაიშვილი, თავის მხრივ დავ. კასრძიშვილი და ა. წუწუნავამ. შემდეგ კრება შეუდგა წესდების პროექტის კითხვას მუხლობრივ გარჩევ-დამტკიცებას: სხდომებმა გასტანა შ მაისის საღამომდე. პროექტი ადგილადგულ პარაგრაფების შესწორებით კრებამ დაამტკიცა. წესდების დამტკიცების შემდეგ კავშირმა ამოიჩინა აღმასრულებელი ორგანოების თანამდებობის პირნი. კავშირის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა კოსტ. ანდრონიკაშვილი. საბჭოს წევრებად: შალვა დადიანი (ერთხმად), ვალ. შალიკაშვილი, ტასო აბაშიძე, გ. იშხელი, შ. შარაშიძე, ალ. იმედაიშვილი; საპროფესიო სასამართლოს წევრებად: ნ. დავითაშვილის ასული, ბ. ბეგლარიძე, ვასილ აბაშიძე (ერთხმ დ), შ კორიშვილი და გ. ფრონისპირელი. სარევიზიო კომისიის წევრებად: სოლ. ახვლედიანი, აბ. ტურაშვილი და ალ. სანდალიძე.



რედაქტორ-გამომცემელი **იოსებ იმედაიშვილი**.



მიიღება ხელის მოწერა 1917 წ.

საქართველოს სოციალდემოკრატიულ პარტიის (ავტონომისტთა) გაზეთი

„ხალხის თავისუფლება“-ზე

(წელიწადი პირველი. კვირაში ორჯერ) ივანე გომართლის მახლობელი მუღნივი მონაწილეობით, მუშა და ჯანსიყვან მწერალთა თანამშრომლობით და იოსებ იმედაშვილის რედაქტორობით.

გაზეთის მიზანია: მუშათა კლასის სამსახური, ეროვნული საკითხის მუშური თვალსაზრისით გაშუქება, ავტონომისტთა გაერთიანება, და საქართველოს ტერიტორიულ ავტონომიის პოპულიარიზაცია ხალხში.

გაზეთის ფასი: წლის ბოლომდე 5 მან., თითო ნომერი-5 კ. ხელის მოწერა მიიღება: რედაქციის საკუთარ ბინაზე (ბაზრის ქ. № 20 ნ° არჯუევანძის სახლი, ელექსანდრეს ბაღის თავში, ხაზინის ზეით) და „სორაბანის“ სტამბის კანტორაში, ფოსტით: Тифლისь ред. „Халхის Тавისუფლება“ — Иос. Имедашвили რედაქტორ გამომცემელი იოსებ იმედაშვილი.

იმაგდება და მოკლე ხანში გამოვა

შეცხოვრების სიტყვათა ლექსი ონი

შედგენ. იოსებ იმედაშვილის მიერ, მეორედ შევეცუღე-შესწორებულ. მოვარაყებული ყდით, ხელის მოწერით ღირს 8 მან. გაწერვა კიდევ შეიძლება: Тифლისь. ред. „Театри да Цховრება“ — Иос. Имедашвили

„თეატრი და ცხოვრება“

ორი პრემიით წლიურად ღირს 8 მ., ნახევარი წლით 4 მ. 50 კ. ხელის მოწერა მიიღება თბილისში „სორაბანის“ სტამბის კანტორაში მადათოვის კუჩა № 1, ფოსტით: Тифლის, ред. „Театри да Цховрება“ — Иос. Имедашвили.

ავღაბრის თეატრი პალახი

სამშაბათს 9 მაისს 1917 წ. ბ-ნ ა. შერმა-ზანოვის თასნობით

ქართულ სცენის მოყვარულთა შერმა-ჯ. ქ. რჩეულოვის, ს. ანკარასი და გ. გვლიცურაშვილი მონაწილეობით

წარმოდგენილი იქნება

I

შეჩაღი პრემია

ღრმა 3 მოქ. ა. ყახეგისა

II

ტიმოთეს ლეღვი

ვლ. I მოქ. ი. გიროშვილისა

III

ღივიერსტისეანსტი

წაითხული იქნება ახალი ღექსები დასაწყისი საღამოს 8 1/2 ს.

აღვიღების ფასი ჩვეულებრივად ანტრაქტებში დაეკარაჰს სამხედრო მუსიკა რეჟისორი ა. შერმაზანოვი

გამტე გ. ზუბიაშვილი.

დაწერილებით ავიშუბეშ.



ახალი კლუბი

- კვირის პროგრამის 23 30
- კვირა — რუსული წარმოდგენა. ბილიეთები 0-30კ.
- ორშაბათი — ოპერეტა. ბილიეთები: 1 მ.-50
- სამშაბათი — საოჯახო საღამო
- ოთხშაბ. — სინემატოგრაფი. სიმბ. ორკ.
- ხუთშაბ. — ქართ. წარმ. ბილიეთები 50-30 კაპ.
- პარაბ. — ოპერეტა. ბილიეთები: 1 მ.-30კ-ღე
- შაბ. — საოჯახო საღამო
- კვირა — რუსული წარმ. ბილიეთ. 4-30 კ.
- დარსწმინდი: კონცერტებისა საღამ. 9 სათ.
- წარმოდგენისა და სინემატოგრ. საღ. 8 1/2 სა.
- შესხვ. ფასი მანდილოსნ. 50 კ. მამაკაც. 1 მ



ქართველთა მილიცია რუსების შემოსვლის დროს.



— ეაა! შითამ ომი მალე გათავდეს?!